

## ერეკლე მეფის ძღვენი

ხელნაწერიდან ვგებულობთ, რომ ერეკლეს მეფეს ბოდბელი მღვდელმთავრისათვის ძღვენი მიუერთმევია. სტიქაროსანთა და მღვდელთათვის ეკლესიური სამოსის შესაკერად. მეფემ მათ სხვადასხვა სახი ნაჭერი გაუგზავნა: ფრანგის თეთრი, მუსჯირი, ჩაქსოვილი ატლასი, სტამბოლის დიბა, სალბის ატლასი, განჯის ტოლნული და ა.შ. ჩამოთვლილი ქსოვილების უმრავლესობა საქართველოში არ იწარმოებოდა, თუ მათი წარმომავლობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ისინი საქართველოში სხვადასხვა ქვეყნიდან უნდა შემოეტანთ. მაგალითად: ფრანგის თეთრი-საფრანგეთიდან, სტამბოლის დიბა-ოსმალეთიდან, ატლასი და ტოლნული სავარაუდოდ სპარსეთიდან, ნაქსოვი ამბრეშუმში ჩინეთიდან . სხვადასხვა ქვეყნის საქონლის არსებობა ადასტურებს რომ ქართლ-კახეთს გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა, როგორც აღმოსავლეთის , ისე დასავლეთის ქვეყნებთან.

საქართველო უძველესი დროიდან იყო დიდი აბრეშუმის გზის განუყოფელი ნაწილი. საქართველოს გავლით გადიოდა საქონელი დასავლეთში. ერეკლეს დროს ამ სავაჭრო გზების მნიშვნელობა დაკნინებული იყო, ახალი გზების აღმოჩენის გამო, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობა, ოსმალეთის მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ. მიუხედავად ამისა ერეკლე ახერხებს შემოვლითი გზებით ან აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობით, მსოფლიო ვაჭრობაში აქტიურ მონაწილეობას. ეს უდავოდ ერეკლეს სტრატეგიული გეგმაც იქნებოდა, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ერეკლეს მეფობა მძიმე პერიოდში მოუხდა, ქვეყანა დაშლილი იყო სამეფო-სამთავროებად, დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ვასალი იყო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო (ქართლ-კახეთი) ირანის, ჩრდილოეთიდან კი მათი წაქეზებით ლეკთა დიდი შემოსევები, ქვეყანას ეკონომიკური და ფიზიკური განადგურების საფრთხეს უქმნიდა. საფრთხის ქვეშ იყო ქრისტიანული ეკლესიაც. ოსმალები და ირანელები ყოველმხრივ ავიწროვებდნენ მას და ცდილობდნენ ქართველების გამუსულმანებას. მეფეს ჭირდებოდა ძლიერი ეკლესია, რომელიც ძნელბედობის ჟამს ქვეყნის ინტერესებს დაიცავდა. ქართული ეკლესიის და მორწმუნეების თავდადებამ არაერთხელ გატეხა ჩვენი მტრები სულიერად. ძლიერი ეკლესია ქვეყნის ერთიანობის საწინდარი იყო. ერეკლე გამჭირახი მეფეა, საეკლესიო პირების პატივისცემით , ის უპირველესად ღმერთს მიაგებდა პატივს და კარგად ჰქონდა გაცნობიერებული რომ ეკლესიის გარეშე სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება და გარეშე მტრების დამარცხება თითქმის შეუძლებელი იყო.

ერეკლე მეფის მიერ ბოძებული საჩუქარი ეკლესიის მსახურთათვის დიდად სასხიარულო იქნებოდა. აღნიშნული ქვეყნებიდან, ხარისხიანი ქსოვილები შემოდიოდა, მისი ძირითადი მომხმარებლები კი, წარჩინებული, მაღალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ. სტიქაროსანთა და მღვდელთათვის მეფის ნაჩუქარი ნაჭრით შეკერილი სამოსის ტარება დიდი პატივი იყო. ერეკლე ყველა სოციალური ფენის მიმართ გამოხატავდა მადლიერების გრძნობას, ამის მაგალითები უხვადაა შემონახული წერილობით წყაროებში. იგი ხალხის მეფე იყო და მათგანაც საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. უამრავი ხალხური ლექსი შეიქმნა ერეკლეს გმირობაზე. გლეხებს აზნაურობის ტიტულს აძლევდა, აზნაურებს -თავადისას, ქვეყნის წინაშე გაწეული

სამსახურისთვის და ერთგულებისთვის. ყველას მიმართ გასწავლული დამოკიდებულება ჰქონდა. შეეძლო ორგულების სასტიკად დასჯა და ერთგულების დაფასება.

ავტორი: სსიპ დაბა ხარაგულის #2 საჯარო სკოლის, მეათე კლასის მოსწავლე თეკლა ებანოძე.